ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №1944953

ნომერი: AR1309418

თარიღი : 13.05.2015

გაცემის თარიღი : 10.06.2015

გაცნობის თარიღი : 10.06.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N7 , (ნაკვეთი N38/43) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N7 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვალერი გელაშვილი პ/ნ LTU22074556
- რუსთაველის N14

ორგანიზაცია:
- ლიტ ჯეო ინვესტი კოდი: 400033655

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 04 მარტის #1760139 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 13 მაისს #AR1309418 განცხადებით მომართა ვალერი გელაშვილმა და მოითხოვა 2015 წლის 04 მარტის #1760139 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 04 მარტის #1760139 ბრძანებით პირობადადებულად შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი – ჩუღურეთი, ქუჩა ც. დადიანი, №7, (ნაკვეთი №38/43)/ქ. თბილისი, ქუჩა ც. დადიანი, №7, შპს "ლიტ ჯეო ინვესტი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.16.02.038.072), შეთანხმებული გრგ–ს მიხედვით მე–2 სექტორში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის "ბ" ბლოკის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 04 მარტიდან 2016 წლის 04 თებერვლის ჩათვლით.

დღეისათვის განმცხადებელი ითხოვს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 04 მარტის #1760139 ბრძანებაში ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ფართობების ციფრობრივი მაჩვენებლების გასწორებას. კერძოდ, საერთო ფართობად 12641.8 კვ.მ–ის ნაცვლად 9301.7 კვ.მ–ის, ხოლო საცხოვრებელ ფართად 9301.7 კვ.მ–ის ნაცვლად 5955.6 კვ.მ–ის დაფიქსირებას.

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურმა დაადგინდა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შესაბამისობაშია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისი 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ

1. დაკმაყოფილდეს ვალერი გელაშვილის 2015 წლის 13 მაისს #AR1309418 განცხადება;
2. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 04 მარტის #1760139 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს შემდეგი მონაცემები: საერთო ფართი–9301.7 კვ.მ; საცხოვრებელი ფართი–5955.6 კვ.მ;
3. წინამდებარე ბრძანებას თან დაერთოს 2015 წლის 13 მაისის #AR1309418 განცხადებით წარმოდგენილი B ბლოკის გეგმა და ჩაანაცვლოს მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე (04.03.2015 #1760139 ბრძანება) B ბლოკის ნაწილში წარმოდგენილი გეგმა;
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 04 მარტის #1760139 ბრძანებასთან ერთად;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლოს ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6), ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.